ზვიად ცხვედიანი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ქუთაისი, საქართველო
zviad.tskhvediani@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2025.10.71

სივრცის სემანტიკა და ავტორის ტექნიკა ბაჰა ტაჰირის რომანში „დაისის ოაზისი“

საკვანძო სიტყვები: რომანი „დაისის ოაზისი“, პოსტკოლონიური არაბული ლიტერატურა

შესავალი. 2008 წელს ცნობილი ეგვიპტელი მწერლის ბაჰა ტაჰირის (1935-2022) რომანს „დაისის ოაზისი“ არაბული მხატვრული ლიტერატურის საერთაშორისო პრიზი (IPAF) - არაბული ბუკერი მიენიჭა. ტაჰირის მეექვსე რომანში მოქმედება ბრიტანული ოკუპაციის ხანაში, მე-19 საუკუნეში მიმდინარეობს. ნაწარმოების პროტაგონისტი შუა ხანს მიტანებული, ეგზისტენციური კრიზისით მოცული ნაციონალისტი ოფიცერი უდაბნოში, სივას ოაზისში ირლანდიელ მეუღლესთან ერთად მიემგზავრება. რომანის ტოპოსი იშვიათად სცილდება უდაბნოს, სივას ოაზისის სივრცეს.

ბაჰა ტაჰერი თანამედროვე ეგვიპტელ და, საერთოდ არაბ მკითხველებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს. მისი ნაწარმოებების შესახებ იწერება სტატიები და გამოკვლევები, გადაღებულია ფილმები („დეიდა საფია და მონასტერისა“ და „დაისის ოაზისის“ ეკრანიზაცია), ავტორი დაჯილდოვებულია მრავალი საერთაშორისო და ეროვნული ლიტერატურული პრემიით. მისი ნაწარმოებები გამოირჩევა სატირით, მწვავე სოციალური და პოლიტიკური თემატიკით. ბაჰა ტაჰირი, როგორც 60-იანელთა თაობის, ე. წ. „ახალი ტალღის“ მწერალთა ტიპური წარმომადგენელი, ტექსტებში ცხადად გადმოსცემს გაუცხოების, ეგზისტენციური შფოთვის, იზოლაციის, კარჩაკეტილობისა და დევნილობის თემებს. მის ნაწარმოებებში მნიშვნელოვანი პოსტულატია გმირის მიერ ტრამვებით გამოწვეული ტანჯვა ან მისი მიღება და გათავისება. პოსტკოლონიურ არაბულ სამყაროში კოლექტიური ტრამვა დაკავშირებულია სოციალურ ცვლილებებთან, კოლონიალიზმის გადმონაშთებთან (ზ. ცხვედიანი 2021: 6)

სივრცე და მოვლენები: რომანის „დაისის ოაზისი“ დაწერილია თანამედროვე მხატვრული პროზის ესთეტიკისა და მახასიათებლების გათვალისწინებით. ავტორი ნაწარმოებში აწმყოში გადასული წარსულის უნიკალურობას, ელფერსა და სპეციფიკას აბრუნებს და, ამგვარად, მკითხველი სივრცესა და დროში გაშლილი მოვლენების განვითარებას ადევნებს თვალს. უფრო ზუსტად, ინტეგრირებული თხრობის სტრუქტურით წარსული შერწყმულია აწმყოში, ახალ ნარატიულ კონტექსტში მოვლენების ლოგიკური თანმიმდევრობა დარღვეულია. თუმცა, ფრაგმენტაციები (ავტორის თხრობის ტექნიკის თავისებურება) მთავარ ტოპოსს, უდაბნოში სივას ოაზისს იშვიათად სცილდება.

უდაბნო არის სივრცე, რომელშიც ადამიანები საკუთარ თავს აღმოაჩენენ (ბ. ტაჰირი 2007)[1]. ამგვარად აღწერს ავტორი რომანის მოქმედების სივრცესა და კაიროდან ოაზისამდე გასავლელ გზას, პროტაგონისტების მიერ აღქმულ უდაბნოსა და ოაზისს. ნარატივის უდაბნოსა და ოაზისში გაშლა ეგზისტენციური კრიზისით მოცული მთავარი გმირის, მაჰმუდის დაღუპვის მომასწავებელია: მკაცრი ბუნებრივი პირობები, მასთან გენეტიკურად შეგუებული ადგილობრივი მოსახლეობის სრული უნდობლობა გადასახედების ამკრებ ოფიცერ მაჰმუდთან, უდაბნოში ალექსანდრე მაკედონილის საფლავის მაძიებელ მის ირლანდიელ აღმოსავლეთმცოდნე მეუღლესთან, კატრინთან და შეიარაღებულ გარემოცვასთან მიმართებით, ოაზისში კლანური დაპირისპირებების, დრომოჭმული ადათებით გამოწვეული უდაბნოს მოსახლეობის ერთგვარი დეჰუმანიზაციის, ბერბერების მითების, რწმენა-წარმოდგენების, ალექსანდრე მაკედონელის სიზმრების, ჰალუცინაციების, მის თავს დატრიალებული ისტორიებისა და ბერბერი გოგონას, მალიქას ტრაგიკული ბედის ფონზეა გადმოცემული.

შდრ. 1985 წელს დაწერილ მოთხრობაში „მე, მეფე მოვედი“ მთავარი გმირი, გრენობლის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, წარმატებული ექიმი, ოფთალმოლოგი ფარიდი, ძველეგვიპტური უცნობი ტაძრის აღმოსაჩენად უდაბნოში თავისი ნებით მიემგზავრება (ზ. ცხვედიანი 2021: 3). „დაისის ოაზისში“ კი 1881 წელს ურაბი-ფაშას მეთაურობით ანტისაოკუპაციო აჯანყების მიმართ თანაგრძნობით განწყობილ ოფიცერ მაჰმუდს ბრიტანელი ოკუპანტების მიერ დანიშნული მმართველი სივას ოაზისში აგზავნის ჯანყის ჩასახშობად, გადასახადების მოსაკრებად და დედაქალაქში გასაგზავნად. მისიის თავიდან აცილების შესალებლობის მიუხედავად, მაჰმუდი თანახმაა შორს, დასავლეთის საზღვართან, ოაზისში სამსახურეობრივი მისიით წავიდეს.

მაჰმუდის სიტყვები, რომლითაც ნაწარმოების პირველი თავი იწყება: *მეუბნება, შენი ცოლი მამაცი ქალია. თითქოს არ ვიცოდე, როგორიცაა. განა თავისი ნებით არ მომყვება საფრთხესთან შესახვედრად?! და მაინც, იქნებ, მართლა არ ვიცი, როგორია კატრინი?! ახლა ამის დრო არ არის. შემთხვევით არ უხსენებია. მისი ყოველი სიტყვის უკან რაღაც განზრახვა იმალება. თუმცა, კატრინი ახლა პრობლემას არ წარმოადგენს. ან, მე რას მოვაგვარებ შინაგან საქმეთა განყოფილების ჩაბნელებულ დერეფნებში სიარულითა და მისტერ ჰარვისთან ხანმოკლე შეხვედრის შემდეგ?!* (ბ. ტაჰირი 2007: 9) პოსტკოლონიური არაბული მხატვრული პროზის მნიშვნელოვან პუსტულატზე, აღმოსავლეთ-დასავლეთის დიქოტომიაზე ფარული მინიშნებაა და შემდეგ თავებში ხასგასმით მიჰყვება თხრობის დინამიკას. კატრინის ძველეგვიპტური იეროგლიფების გაშიფრვის, ალექსენდრე მაკედონილის საფლავის ძიების დაუოკებელი ჟინისა და ეროვნულ ფრონტზე წარუმატებლობის ფონზე ისტორიზმის მიმართ გულგატეხილი, გაციებული მაჰმუდი პირველ სიყვარულს, უგზოუკვლოდ დაკარგულ ნაიმასთან გატარებულ ახალგაზრდობას იხსენებს. უდაბნო, როგორც ნაწარმოებში მოქმედი სივრცე, მთავარ გმირებს მოგონებებს აღუძრავს და თხრობის საგანგებო არასისტემურობას განსაზღვრავს. ნაწარმოებში შემოდის სცენები ალექსანდრიიდან და კაიროდან (მაჰმუდის ნაწილი), ირლანდიიდან (კატრინის, მისი პირველი მეუღლის, მამამისისა და ჭლექით დაავადებული დის ნაწილი), ანტიკური ახლო აღმოსავლეთიდან (ალექსანდრე მაკედონელის ნაწილი) და სივას ოაზისიდან

[1] სტატიაში რომანიდან „დაისის ოაზისი“ დადასტურებული ნაწყვეტების ქართული თარგმანი შესრულებულია ზ. ცხვედიანის მიერ.

(ადგილობრივების, შეიხ იაჰიას, შეიხ საბრის, მალიქასა და მთავრი გმირების, მაჰმუდისა და კატრინის ნაწილი). სივას ოაზისი უდაბნოში აერთიანებს, კრავს რომანში წარმოდგენილ ყველა სივრცეს, ტოპოსს.

ბაჰა ტაჰირის შემოქმედების მკვლევარი R. S. A. al-Khafaji რომანის ნარატიულ ქარგას ორ ნაწილად ყოფს: 1) ურაბი ფაშას რევოლუცია და ღალატის აღიარება ოფიცრების მხრიდან, უდაბნოში მოგზაურობის საშინელებები, როგორიცაა ქარიშხლები, წვიმები, ქვეწარმავლები და ა. შ. და 2) სივას ოაზისში მაჰმუდის სამსახურეობრივი დავალების შესრულება და კატრინის კვლევითი მისია (R. al-Khafaji 2024: 83).

რომანში მოქმედების ძირითადი სივრცე: გეოგრაფიულ ნომენკლატურად წარმოდგენილი უდაბნო და ოაზისი სიმბოლური დატვირთვისაა. ორივე ერთგვარ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას ასახავს.

სხვადასხვა ისტორიული პერიოდების გადაკვეთით: კოლონიალიზმით, დამოუკიდებლობის დაკარგვითა და პოსტკოლონიური გამოცდილებებით წარმოჩენილია ტრამვული და ტრანსფორმირებული დრო.

ბ. ტაჰირი ნათლად აღწერს მაჰმუდზე უდაბნოში მოგზაურობის ზეგავლენას. ის ამბობს: *უდაბნო თითოეულ ჩვენგანზე განსხვავებულ გავლენას ახდენს* (ტაჰირი 2007: 41). ან კიდევ, *ჩემს თვალწინ გადაჭიმულია უდაბნო: მარტოოდენ ქვიშა, სილის ბორცვები, კლდეები და შორს მნათი მირაჟები. დღისით მწველი პაპანაქება, ღამით გამჭოლი სუსხი, სხვა არაფერი* (ტაჰირი 2007: 37); ირონიით იხსენებს ქარავნის მეთაურის, საბრის მიერ უდაბნოს „სულის წალკოტად“ ხსენებას: *მისი სულისთვის შეიძლება, მაგრამ არა ჩემთვის. ეს ყვითელი მტილი ჩემში მხოლოდ მრისხანებას აღძრავს, მგონი* (ტაჰირი 2007: 37). შდრ. ასევე, მისივე სიტყვები: *„ყოველ დღე, რაც უფრო ღრმად შევდივარ უდაბნოში, მით უფრო ღრმა მდუმარება სუფევს ქარავნის თავს... და ეს დუმილი გონებაში გოდებად და ბუნდოვან სურათებად გარდასახული წარსულს მიცოცხლებს, ყველას, ვინც ცოცხალია, ყველას, ვინც სული განგებას მიაბარა.“* უდაბნო მაჰმუდში დედის გარდაცვალებით გამოწვეულ ტრამვებს ანახლებს: *„ყოველ ღონეს ვხმარობ დედის დასავიწყებლად, მაგრამ ახლა, ამ ხეტიალში არ ძალმიძის ბეჩავს, მივივწყო მისი სახება.“* (ტაჰირი 2007: 38)

უდაბნოში მოგზაურობა და ოაზისში ცხოვრება ზრდის მაჰმუდის ტრამვებს, უმწეობის შეგრძნებას კი თვითმკვლელობამდე მიჰყავს. მის საბოლოო გადაწყვეტილებაში ნათლად არის ნათქვამი: *„ტაძრის კვალიც არ უნდა დარჩეს. ჩვენ უნდა დავასრულოთ წინაპრების ყველა ისტორია, შთამომავლობა რომ გამოფხიზლდეს სიდიადის ბოდვებიდან, ცრუ თვითკმაყოფილებიდან. და ერთ დღესაც მადლიერები იქნებიან“* (ტაჰირი 2007: 303-304).

რომანში მთავარი გმირის, მაჰმუდის შინაგანი სამყაროს, ფიქრებისა და მოგონებების ნაკადი ყველგან მიჰყვება მოვლენებს. შინაგანი მონოლოგები ხშირად გადადის წარსულიდან აწმყოში და პირიქით, რითაც ავტორი ხაზს უსვამს გმირის ფსიქოლოგიური მდგომარეობის მორღვევაზე. ამგვარი მომენტები განსაკუთრებით თვალიშისაცემია, როდესაც მაჰმუდი თავის წარსულზე, ურაბის აჯანყებასა და მარცხზე ფიქრობს. რიგ შემთხვევაში ფიქრების არალოგიკური თანმიმდევრობა დანაშაულის შეგრძლებითა და მორალურ დილემის ფაქტორითაა გამოწვეული.

რომანის სიმბოლური ასპექტები გამოხატულია დაისში (გასვლა, დაღუპვა), ოაზისსა (გადარჩენის მცდელობის ადგილი) და ციკლურ დროში.

ქრონოტოპი „დაისის ოაზისში“ ადამიანური გამოცდილების, ისტორიული ტრამვებისა და იდენტობის მუდმივ ძიებას წარმოაჩენს. უდაბნოსა და ოაზისს შორის

ურთიერთობა ხშირად ასახავს პერსონაჟების შინაგან ბრძოლებს და ცვლილებებს. უდაბნოში მოგზაურობა სირთულისა და ოაზისში მოხვედრა კი იმედისა და სულიერი აღდგენის სიმბოლოა.

თხრობის ტექნიკა: რომანში ამბების თხრობა ალტერნატიულ პერსპექტივით მიმდინარეობს და პერსონაჟები უაღრესად ავთენტურები და რეალისტურები არიან. დიდი სიზუსტით ასახული ისტორიული ფაქტები და ნაწარმოების ქრონოტოპი მხოლოდ ფონის ფუნქციას არ არსულებს. სიუჟეტი თავისთავად ფიქციას წარმოადგენს, თუმცა, შეიძლება რომანის პერსონაჟების მსგავსი ადამიანები ეგვიპტეში XIX საუკუნის მიწურულს ცხოვ-რობდნენ (E. LaGraziana 2013).

თხრობის ტექნიკის ცვლით, რამდენიმე პროტაგონისტის, მთხრობელის პერსპექტივიდან ფაქტების გადმოცემით ავტორი პერსონაჟებზე მოვლენების სხვადასხვაგვარ გავლენას წარმოაჩენს. ეს თავისებურება განსაკუთრებით გამოხატულია შინაგანი მონოლოგების ნაკადებით, რითაც ავტორი მკითხველს პერსონაჟების ფარულ აზრებს, ღრმა განცდებსა და ემოციებს გადასცემს.

ნაწარმოებში დარღვეულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობა: დროის პლანებს შორის გადაადგილება, წარსულისა და აწმყოს ერთმანეთში გადაკვეთა. რთული ლაბირინთული სიუჟეტი აგებულია ასოციაციების, შთაბეჭდილებების, სივრცესა და დროში, ცნობიერების პლანებში შიდა გადაადგილებების საფუძველზე. კონტექსტუალური თვალსაზრისით ნაწარმოებში ასახულია ეგვიპტის ისტორიის რთული პერიოდი, ხოლო გმირების ინდივიდუალური ამბები ეროვნული ისტორიის კონტექსტშია გაშლილი.

რომანში „დაისის ოაზისი“ ავტორი იყენებს :

1) პოლიფონიას: მაჰმუდსა და მისი მეუღლის, კატრინის მრავალხმიანობა მოვლენების ორი განსხვავებული პერსპექტივიდან დანახვის საშუალებას იძლევა.

2) რეტროსპექციას: ავტორი ხშირად მიმართვას „ფლეშბეკის“ ტექნიკას პერონაჟების მიერ წარსულის გახსენების გზით.

3) ცნობიერების ნაკადს: პერსონაჟების შინაგანი მონოლოგები. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია კატრინი, რომელიც ხშირად მიმართვას ფილოსოფიურ და პოეტურ თხრობას ძველეგვიპტურ ცივილიზაციასა და მის კავშირზე თანამედროვეობასთან ფიქრის დროს.

4) აღწერით თხრობას: რომანში დიდი ადგილი ეთმობა სივას ოაზისის ბუნებას, კულტურულ და ისტორიულ დეტალებს, რაც ნაწარმოებში სივრცეს ფუნდამენტურ პლასტად აქცევს.

5) რეალობისა და მითის ურთიერთგადაკვეთას: ისტორიული მოვლენები ამონის ტაძართან და ოაზისთან დაკავშირებულ მითოლოგიურ ელემენტებთანაა შერწყმული.

6) მონტაჟის ტექნიკას: მწერალი ხშირად მიმართავს სწრაფად გარდამავალი სცენებს, ახორციელებს „ხტომებს“ დროში, როდესაც მაჰმუდი სხვა პერსპექტივიდან საკუთარი შინაგანი მდგომარეობის გაცნობიერების პროცესში იმყოფება. ავტორი სხვადასხვა დროისა და სივრცის რეალურ ფაქტების ინტერკომბინირებულ ნარატივსა და ტექსტის დინამიკურ სტრუქტურას გვთავაზობს. ნაწარმოებში სხვადასხვა დროის და სივრცის დონეები უწყვეტ კავშირს ქმნიან. პარალელურ თხრობაში, სიუჟეტებში (მულტიპლიკაციური პერსპექტივა) თვალშისაცემია ერთმანეთთან დაკავშირებული წარსულის და აწმყოს მოვლენები. უდაბნოსა და ოაზისში მთავარი გმირის მოქმედებები საკუთარი წარსულის, ოჯახური და ეროვნული ისტორიის აღადგენის პარალელურად მიმდინარეობს.

7) პოეტური დესკრიპციას: ავტორი იყენებს მდიდარ, ხატოვან ენას უდაბნოს ლანდშაფტის, ოაზისის სილამაზისა და ბუნების მოვლენების, მზის ჩასვლის სცენების მისტიკური აღწერისას, კატრინის საფოსთან ასოციაციებისა და მასთან განმსგავსებაზე, მაჰმუდის წარსულსა და ბედისწერაზე ფიქრებისა და სიკვდილთან დაკავშირებული მეტაფორებისა და სიმბოლების გადმოცემისას. ბაჰა ტაჰირი პერსონაჟების გრძნობების გადმოსაცემად ხშირად მიმართავს ბუნებისა და გარემოს არასვრცულად აღწერას.

8) წრიული სტურქტურას: ნაწარმოები სიკვდილთან და ბედისწერასთან დაკავშირებული სცენებით იწყება და მთავრდება. ამგვარი თხრობა ტექსტში სიკვდილ-სიცოცხლის ფილოსოფიურ გააზრებას ასახავს. წრიული სტრუქტურა ხშირად სიმბოლურ ფუნქციას ატარებს. უდაბნო, როგორც დასაწყისისა და დასასრულის გარემო, წარმოდგენილია როგორც სიმბოლო, სადაც ადამიანი მუდმივი ტრანსფორმაციის პროცესში ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ დროის თვალსაზრისით ნაკადები შეიძლება შეიცვალოს, პერსონაჟები მაინც განიცდიან ერთი და იგივე ტიპის შინაგან კონფლიქტებს. ისინი იწყებენ თავიანთ მოგზაურობას, მაგრამ ხშირად მათ სულიერად სჭირდებათ დაბრუნება იმ წერტილში, სადაც ყველაფერი დაიწყო, რაც წრიული სტრუქტურის დინამიკას ქმნის. გმირის ძიება არა ერთჯერადი, არამედ მუდმივი, წრიული პროცესი.

„დაისის ოაზისის“ თხრობის ტექნიკა მჭიდროდ დაკავშირებულია მასში გადმოცემული თემატიკისა და ემოციური ნიუანსების ღრმა გაგებასთან. მულტიპერსპექტივა, დროის არამატერიალური დამუშავება, შინაგანი მონოლოგი და პოეტური ენა ქმნის ნაწარმოების განსაკუთრებულ ატმოსფეროს, სადაც ხდება პერსონაჟების შინაგანი სამყაროს ასახვა, მათ ემოციებთან და სულიერ ძიებებთან დაკავშირებული რთული განწყობების გადმოცემა.

ნაწარმოების ქრონოტოპი კომპლექსური დროისა და სივრცის ურთიერთობის მეშვეობით იქმნება და პერსონაჟების სულიერ სამყაროს, ემოციურ ტრანსფორმაციებს ასახავს. უდაბნოსა და ოაზისის განსხვავებული სიმბოლიზმი, დროის ნაკადში მუდმივი მოძრაობა და შიდა და გარე სამყაროს ურთიერთკავშირი ქმნის რთულ ქრონოტოპს.

დასკვნა: ბაჰა ტაჰირის რომანი „დაისის ოაზისი“ როგორც მრავალშრიანი ნარატივი პოსტკოლონიური არაბული რომანის მნიშვნელოვან ნიმუშს წარმოადგენს. რომანში აშკარად ჩანს არაბული სამყაროს ისტორიაში კოლონიური გავლენის შედეგები. პერსონაჟები და მათ გარშემო არსებული რეალობა ტრადიციული ცივილიზაციებისა და კულტურების დაქვეითების ზემოქმედებას განიცდიან. ნაწარმოების ფონი არაბული საზოგადოების ზეწოლის, გაურკვევლობისა და ტრავმების მეშვეობით ვითარდება. რომანში ასახულია: 1) პოლიტიკური და სოციალური კრიზისი, 2) კულტურული იდენტობისა და კოლექტიური მეხსიერების საკითხი, 3) ტრადიციისა და მოდერნიზმის დაპირისპირება.

ქრონოტოპისა და თხრობის ტექნიკის თვალსაზრისით რომანი გარკვეულწილად პოსტმოდერნისტული ელფერისაა, განსაკუთრებით ნარატიული სტრუქტურის, პერსპექტივის შეცვლის, კულტურული რეფერენციების გამოყენებისა და სუბიექტური რეალობის ხაზგასმის თვალსაზრისით. თუმცა, ის აგრეთვე შეიცავს ტრადიციული სიუჟეტური ხაზისა და სოციალური კრიტიკის ელემენტებსაც. აქ არ ჩანს პაროდია, ინტელექტუალური ირონია ან რეალობასთან თამაში.

ნაწარმოები სხვადასხვა ლიტერატურულ ჟანრებს აერთიანებს და მრავალი თანამედროვე ლიტერატურული მიდგომის კომბინაციას ასახავს. პოსტკოლონიური და

პოლიტიკური რომანის ელემენტები განსაზღვრავს ტექსტის ძირითად შინაარსსა და თემატიკას, ხოლო პოსტმოდერნისტული სტილის ხმარება აძლიერებს ნარატივს და ქმნის მრავალფეროვან, რთულ და ღრმა ტექსტს, რომელშიც საზოგადოების, პიროვნების და მათი ურთიერთობის მუდმივი ცვლილებებია ასახული.

ამავე დროს, რომანის ფონი და გარემო, უდანბო და მიტოვებული ოაზისი, ირიბად მაინც დისტოპიურ ელემენტზე მიანიშნებს, სადაც სოციალური, კულტურული და ეკონომიკური პრობლემები თანდათან უარესდება. აქ ყველაფერი გამოფიტულია და განიცდის განადგურებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს რეალობა არ არის მკაფიოდ აბსოლუტური დისტოპია (როგორც, მაგალითად, კლასიკურ დისტოპიებში), პერსპექტივა იმედგაცრუებულია და ჩანს, რომ პერსონაჟები ვეღარ ხედავენ რეალურ გამოსავალს. გარემო მაინც მყიფეა და პერსონაჟები თავიანთ თავს ებრძვიან.

ლიტერატურა:

ცხვედიანი ზ. (2021). ტრამვა ბაჰა ტაჰირის პროზაში: „მე, მეფე მოვედი“. // *Free University Journal of Asian Studies No 3 (2021).* https://journals.org.ge/index.php/asianstudies/issue/view/27

LaGraziana E. (2013). Book Review: Sunset Oasis by Bahaa Taher. https://edith-lagraziana.blogspot.com/2013/08/sunset-oasis-by-bahaa-taher.html

Haikal N. (2019). Fight-or-Flight Response: A Study of Bahaa Taher's Sunset Oasis with Reference to Trauma Theory. // April 2019 مجلة البحث العلمي في الآداب 1(10):1-22 DOI:10.21608/jssa.2019.30764

Al-Hawari L. (2020). The Narrative Vision in Bahaa Tahir's Novel "Oasis of the Sunset." // *Annales des lettres et des langues. M'sila University Refereed scientific journal - University Mohamed Boudiaf Of M'sila . Algeria.* Peges 222-251. www.asjp.cerist.dz/en/PresentationRevue/312 (in Arabic)

al-Khafaji R. S. A. (2024). The poetics of language in the novel Sunset Oasis. // *Journal of College of Arts, al-Mustansiriya.* Volume 2. Pages 79-97 (in Arabic)

Taher B. (2007). واحة الغروب. (Sunset Oasis). Dār aš-šurūq: Cairo.

Zviad Tskhvediani

Akaki Tsereteli State University

zviad.tskhvediani@atsu.edu.ge

https://doi.org/10.52340/lac.2025.10.71

The Semantics of Space and Author's Technique in Bahaa Taher's Novel "Sunset Oasis"

Abstract

"The desert is the space in which people find themselves". The famous Egyptian writer Bahaa Taher begins his description of the desert with this phease in the novel "Sunset Oasis". The main action of the novel takes place in the desert at the end of the XIXth century. The author describes the life of Mahmoud Abd al-Zahir, a middle-aged civil servant. In the Oasis of Siwa. At the same time **"Sunset Oasis"** is also a dystopian novel in some ways.

The article discusses the structure of the artistic fabric of the work, the spatial ecology and the author's narrative technique in terms of the influence of Western Literature _western classical dystopian fiction), post-colonial context and trauma theory. In the novel, the influence of the trip

to the desert on the main character is clearly depicted, against the background of whose faiklures, the author describes the traumatized psyche of the character.

This journey and life in the oasis increases Mahmoud's helplessness and eventually kills him (suicide). The narrative technique chosen by the author prepares the reader for the dramatic ending.

Bahaa Taher's Novel "Sunset Oasis" was awarded the 2008 International Prize for Arabic Fiction (IPAF) – Arabic Booker.

Taher's lyrical prose, his keen eye for historical details makes a great impression on the reader.

Key words: Bahaa Taher, Novel "Sunset Oasis"